შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.745)

13-20 აგვისტო 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

ნატო-მ 2008 წლის აგვისტოს ომზე დოკუმენტური ფილმი მოამზადა

„ვიდრე საქართველოში ასეთი გმირები იბადებიან, ქვეყანას გადაშენება არ უწერია“...

გვ. 3



გვ. 8

მეცხვარის დღე თუშეთში

„კარგი მოსავლის წინაპირობაა ნიადაგის კარგად დამუშავება, ხარისხიანი თესლი და ამას დამატებული კარგი ამინდი“

გვ. 6

წლის ზეიმი

გვ.4

ზემო ალვანში პლასტმასის ბოთლებისაგან სათბური აშენეს

გვ.8

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

მეცხვარის დღე თუშეთში

კესელოს ციხე-კოშკებთან 11 აგვისტოს ვიზიტორთა სიმრავლე იყო- ომალომ ტრადიციულ დღესასწაულს, "თუშეთობას" უმასპინძლა. სახალხო ზეიმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა თუშ მეცხვარეებს, ადგილობრივ მოსახლეობას და დღესასწაულზე მყოფ სტუმრებს "თუშეთობა" მიულოცა.

"მივესალმები საქართველოს ამ, მართლაცდა, ყველაზე ლამაზ მხარეს. მე ყველანაირი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ეს არის საქართველოს ანდამატი, ეს არის საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში. მიხარია, რომ თუშეთობას ერთად ვდღესასწაულობთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა აქ მაცხოვრებელს, იმისათვის, რომ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე შემოგვინახეთ. ძალიან მიხარია, რომ დღესასწაულში ამდენი ახალგაზრდა მონაწილეობს. პირველ რიგში, მინდა მივულოცო თუშ მეცხვარეებს. მივულოცო იმიტომ, რომ მათი მეშვეობით მოხდა მოსახლეობის დამაგრება აქ. ეს არის გმირული საქმე და თითოეული თქვენგანი, თითოეული აქ მაცხოვრებელი თუში, არის საქართველოს ფარი, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის მესაზღვრე. თქვენი გმირობის მეშვეობით შევინარჩუნეთ ჩვენ ეს ულამაზესი კულტურა, რომელიც გვაქვს და რომლითაც ყველანი სამართლიანად ვამაყობთ,"- განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თუშეთის განვითარებას, რომელსაც გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის თვალსაზრისით. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, უკვე გამოცხადებულია ტენდერი თუშეთის გზის პროექტირებაზე.

"ეს გზა აუცილებლად აშენდება და იგი იქნება საქართველოს დედაქალაქიდან თუშეთამდე მიმავალი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების გზა, იმისათვის, რომ ყველა ტურისტმა უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახერხოს თუშეთში ამოსვლა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების შემაერთებელი გზები, რომელზეც ვმუშაობთ, იმიტომ, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ამ მხარის, ამ კულტურის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება. გზას ექნება ბევრი დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმის განვითარების, რომ აქაურმა ოჯახებმა მეტი შემოსავალი ნახონ და ჰქონდეთ მეტი ინტერესი იმის, რომ მცირე სასტუმროები გაიხსნას, ადგილობრივი რეწვა განვითარდეს. რა თქმა უნდა, ექნება ასევე უსაფრთხოების დანიშნულება, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი სასაზღვრო რეგიონი და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებას. მას ასევე ექნება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების დანიშნულება, ვინაიდან გზის და კომუნიკაციის და ინფრასტრუქტურის გარეშე ეს იქნება შეუძლებელი,"-აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

დღესასწაულზე მყოფი მთავრობის მეთაური თუშ მეცხვარეებს შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მეცხვარეებს და ხაზი გაუსვა მათი საქმიანობის მნიშვნელობას. "თქვენ არა მარტო შრომობთ, თქვენი აქ ყოფნით იცავთ ქართულ მიწას, ჩვენს საზღვარს,"- განუცხადა გიორგი კვირიკაშვილმა თუშ მეცხვარეებს. პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, დიმიტრი ქუმსიშვილს მეცხვარეთა პრობლემების შესწავლა და მაქსიმალური ხელშეწყობა დაავალა.

"თუშეთობა 2016"-ის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრმა დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი და თუშური ხელნაკეთი ნივთების გამოფენა დაათვალიერა, დააგემოვნა თუშური კერძები, დაესწრო საზეიმო კონცერტს, მშვილდოსნობას და სხვა ტრადიციულ სპორტულ-საბრძოლო თამაშებს.

„თუშეთობის" დღესასწაული თუში ხალხის უძველეს პროფესიას - მეცხვარეობას უკავშირდება და გასული საუკუნიდან მოყოლებული, აგვისტოს თვეში, ყოველწლიურად აღინიშნება.

ნატო-მ 2008 წლის აგვისტოს ომზე დოკუმენტური ფილმი მოამზადა

ნატო-მ 2008 წლის აგვისტოს ომზე დოკუმენტური ფილმი მოამზადა ნატო-მ 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმი მოამზადა. "საქართველოს მოუგვარებელი კონფლიქტი", - ასე ეწოდება ფილმს, რომელშიც მოთხრობილია იმ დევნილთა ისტორიები, რომლებსაც საომარი მოქმედებების გამო საკუთარი სახლების დატოვება მოუწიათ.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ აგვისტოს ომის შემდეგ 20 000-ს დევნილს დღემდე არ შეუძლია სახლში დაბრუნება.

„ქვეყნის სხვა ნაწილებში მიმდინარე ბორდერიზაციის პროცესი კი ნიშნავს, რომ ადამიანები საკუთარ მიწას კარგავენ. კონფლიქტი შეიძლება დასრულებული იყოს, მაგრამ მისი შედეგები კვლავ იჩენს თავს", - ნათქვამია ფილმის წინასიტყვაობაში, რომელიც ნატო-ს „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზეა გამოქვეყნებული.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსად პაატა ბატიაშვილი დაინიშნა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა თანამშრომლებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი პაატა ბატიაშვილი წარუდგინა.

პაატა ბატიაშვილს სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, მათ შორის 2012-2015 წლებში ბატიაშვილი შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, ხოლო 2015 წლიდან დღემდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობას იკავებდა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

მიუსაფარ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე დოკუმენტაციის გაცემა მარტივდება

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, მიუსაფარ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს დაბადებისა და პირადობის მოწმობებსა და ასევე, სამგზავრო დოკუმენტებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართვის საფუძველზე დაუმზადებს. დოკუმენტები უფასოდ გაიცემა.

დღემდე მოქმედი რეგულაციით, ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისათვის დაბადებისა და პირადობის მოწმობებსა და პასპორტს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მხოლოდ მშობლის ან მეურვის მიმართვის საფუძველზე გასცემდა.

„მშობელთა ან მეურვეთა ნაწილი ვერ ახერხებს ან არ თვლის საჭიროდ არასრულწლოვანთათვის დოკუმენტაციის მოწესრიგებას. ამის გამო მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვები არ არიან აღრიცხულნი, ვერ იღებენ განათლებას, არ არიან ჩართულნი სოციალური თუ სამედიცინო სახის სახელმწიფო პროგრამებში.ამიერიდან, ასეთი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს ეძლევა უფლება, მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მათთვის დოკუმენტაციის გაცემის თხოვნით, რის შემდეგაც ბავშვები შეძლებენ, მიიღონ განათლება, სამედიცინო მომსახურება და სხვა სერვისები", - აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს განცხადებაში.

მათივე ცნობით, აღნიშნული დოკუმენტები გაიცემა იმ ბავშვებზეც, რომელთა ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. ისინი დროებით საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს მიიღებენ. როგორც სამინისტროში აცხადებენ, დროებითი დოკუმენტი ერთი წლის ვადით იმოქმედებს, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მისი განმეორებით გაცემა.

შესაბამისი ბრძანება უკვე გამოსცა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უკვე გამოსცა. ცვლილებები იუსტიციის მინისტრის ბრძანებებში მიუსაფარი ბავშვების შესახებ კანონის საფუძველზე შევიდა, რომელიც იუსტიციის სამინისტროში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შესაბამისი უწყებების აქტიური ჩართულობის შედეგად მომზადდა.

იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, ინიციატივის მიზანია, მაქსიმალურად დაიცვას მოზარდების ინტერესები და არ დატოვოს არცერთი მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვი დოკუმენტაციის და, შესაბამისად, განათლების, ჯანდაცვისა სოციალური სერვისების გარეშე.

2016-2017 სასწავლო წელს საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, სწავლა ყოველთვის დაიწყოს ფიქსირებული თარიღით - 15 სექტემბერს და არა, როგორც აქამდე იყო - 10 სექტემბრის შემდეგ პირველ ორშაბათს.

„ჩვენ გამოვედით ინიციატივით,, სწავლა იყოს ფიქსირებული თარიღით, 15 სექტემბრით, რათა მშობლებმა შეძლონ და დაგეგმონ დასვენება და არდადეგები. აღნიშნულ ცვლილებაზე მინისტრის ბრძანება უკვე გამოიცა. პირველ კლასში შესვლას ის ბავშვები შეძლებენ, რომელთაც 6 წელი 14 ან 15 სექტემბერს უკვე შეუსრულდათ," -განაცხადა ლია გიგაურმა.

ედუ.არის.გე-ს კითხვაზე, თუ რამდენ პირველკლასელს ელოდებიან წელს, მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ წელს საჯარო სკოლები 49 000-ზე მეტ პირველკლასელს მიიღებს.

როგორც ლია გიგაურმა ედუ.არის.გე-სთან საუბარში აღნიშნა, 2016-17 სასწავლო წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები არ განხორციელდება. საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე მიიღებს საჩუქრად სახელმძღვანელოებს, ხოლო პირველკლასელებს ტრადიციისამებრ გადაეცემათ პორტატული კომპიუტერები. კომპიუტერების შესაძენად ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, სწავლის დაწყებით თარიღს ყველა კერძო სკოლა თავად განსაზღვრავს.

უმაღლესი განათლების ალტერნატივა პროფესიული განათლებაა - მინისტრის მიმართვა ჩაჭრილ აბიტურიენტებს

„ძალიან ბევრი უსამსახურო იურისტი გვყავს და ძალიან გვიჭირს, მაგალითად, სასტუმროს ადმინისტრატორები, აგრონომები, ვეტერინარები, პროგრამისტები, ან დაზღვევის აგენტები და ეს ყველა არის პროფესიული მიმართულების საქმიანობა, რომელზეც შეიძლება არ დახარჯოს ადამიანმა 4 წელი და პროფესია აითვისოს საკმაოდ მოკლე ვადაში", - ამის შესახებ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ერთიან ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილი სტუდენტებისთვის მომზადებულ ვიდეო მიმართვაში განაცხადა.

განათლების მინისტრის თქმით, ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური ბარიერი აბიტურიენტების 16%-მა ვერ გადალახა, რაც სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

„ზოგჯერ ეს ძალიან ცუდ შედეგად იქნა შეფასებული, რასაც მე არ ვიზიარებ და თქვენც მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში უმაღლეს განათლებას უმაღლესი განათლება იმიტომ ჰქვია, რომ ის საყოველთაო არ არის ყველა ადამიანისთვის. ეს ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. უმაღლესი განათლება უნდა იყოს მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, ვინც განსაკუთრებულ აკადემიურ წარმატებას აღწევს. დღესდღეისობით, ეს 16% სხვა ქვეყნებთან შედარებით არის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი იმიტომ, რომ ზოგ ქვეყანაში ეს არის 25%, ზოგგან 50% და მეტიც. რაც უფრო ძლიერი განათლების სისტემა აქვს ქვეყანას მით უფრო ფრთხილად არჩევს მისთვის მონაწილეებს.

ბევრი მათგანი, ვინც ბარიერი ვერ გადალახა, წერს „ჩემი ცხოვრება დასრულდა, აწი რაღა უნდა შვძლო, რაღა უნდა გავაკეთო?" მე მინდა დავარწმუნო ისინი, ჩვენი ახალგაზრდები, რომ ძალიან ბევრი კარგი ალტერნატივა არსებობს. ეს არის პროფესიული განათლება, ეს არის ტრეინინგები. რა თქმა უნდა, მათ მომავალში შეუძლიათ კიდევ სცადონ უმაღლესი განათლების მიმართულებით ბედი. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალები.

მგონია, რომ პროფესიული განათლების განვითარება მომავალ წლებში შექმნის საფუძველს იმისთვის, რომ ყველა კი არ წავიდეს უმაღლეს განათლებაში, არამედ მხოლოდ ის ახალგაზრდები, ვინც ხედავს თავის მომავალს აკადემიურ სფეროში და ვისაც შეუძლია ძალიან მაღალი სტანდარტის დაკმაყოფილება", - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფომ ნაბიჯები უნდა გადადგას იმისთვის, რომ სკოლამ ეროვნული გამოცდებისთვის მოსწავლეების მომზადება უზრუნველყოს.

„ეს იქნება აბიტურკოლეჯები თუ გიმნაზიები, სხვადასხვა ქვეყანაში ამას სხვადასხვა სახელი ჰქვია, უნდა შევძლოთ, რომ ყველაზე ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდებს მივცეთ საშუალება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ და პარალელურად მიიღონ რეალურად ისეთი ცოდნა, რომელიც მათ უმაღლესში ჩაბარების საშუალებას მისცემს. ჩვენ შევეცდებით გავაძლიეროთ ეს საფეხური და ის ადამიანები, ვინც დაამთავრებენ ზედა კლასებს იყვნენ სრულიამ მზად იმისთვის, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარიერი გადალახოს", - განაცხადა განათლების მინისტრმა.

„ვიდრე საქართველოში ასეთი გმირები იბადებიან, ქვეყანას გადაშენება არ უწერია“...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 8 წელი გავიდა. 8 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილსა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. გარდაცვალებულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) ეპარქიის სხვა მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა. პანაშვიდს ესწრებოდა ერთ-ერთი დაღუპული გმირის, გიორგი აბიათარის დედა.

მეუფე დიმიტრი (კაპანაძე) : “ სამშობლოსათვის ბრძოლას დედოფლისწყაროდან რამდენიმე ახალგაზრდა შეეწირა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველი მზად იქნება, თავისი მამულიშვილური მოვალეობა აღასრულოს და, თუ საჭირო გახდება, სამშობლოს დამოუკიდებლობას შესწიროს თავი. ღმერთმა აცხონოს ყველა დაღუპული გმირი“.

“ 8 აგვისტო მძიმე დღეა მთლიანად საქართველოსთვის. ახლა, როდესაც 8 აგვისტოს დაღუპულ გმირთა მემორიალთან ვდგავართ, საოცარი სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ასეთი დიდებული ადამიანები ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ. ქედს ვიხრით მათ წინაშე. მადლობას ვუხდით ასეთი ადამიანების მშობლებს, რომელთაც სასახელო შვილები გაუზარდეს სამშობლოს და შთაუნერგეს მათ სამშობლოსათვის თავგანწირვა“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ნუგზარ პაპიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** „8 აგვისტო ყველასთვის მძიმე, ტკივილიანი და ამაღელვებელი დღეა. ტკივილიანი იმიტომ, რომ ამდენი ღირსეული ახალგაზრდა დავკარგეთ, მაგრამ ამაყები ვართ ყველანი, რადგან საქართველოს ჰყავს ისეთი შვილები, რომლებსაც უყოყმანოდ შეუძლიათ სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანონ თავიანთი სიცოცხლე. ვიდრე საქართველოში ასეთი გმირები იბადებიან, ქვეყანას გადაშენება არ უწერია“...

აგვისტოს ომს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ოთხი ახალგაზრდა ემსხვერპლა: გოჩა ილურიძე, გიორგი აბიათარი, გიორგი მარსაგიშვილი და თეიმურაზ ბერიძე.

* * *

2008 წლის შემდეგ სევდიანად თენდება 8 აგვისტო საქართველოში. რვა წლის წინ განცდილი გრძნობა, რომ რამდენიმე წამში შეიძლება ყველაფერი დასრულდეს, ამ დღეს ყოველწლიურად ახლდება. მხოლოდ შიშის გრძნობა არ გახსენებს თავს, რაც მაშინ თვითმფრინავებიდან ჩამოყრილმა ბომბებმა განგაცდევინა, არა, ის უფრო დამთრგუნველია, როცა ხვდები, რომ დაუცველი ხარ შენს სახლში, საკუთარ ქვეყანაში... ომის შედეგი კი განსაკუთრებით შემაძრწუნებელია - დაკარგული ტერიტორიები, დახოცილი ადამიანები, ძაძით მოსილი დედები, დაობლებული შვილები, უამრავი ლტოლვილი თავისსავე ქვეყანაში... ომს თავისი სუნიც აქვსარა მხოლოდ დენთის და სისხლის, არამედ განსხვავებული, შემაძრწუნებელი და ფსიქიკის დამანგრეველი... სამწუხაროდ, რუსეთის მიერ დაწყებული ომი ხუთდღიანი საბრძოლო ოპერაციით არ დამთავრებულა, ის დღესაც გრძელდება მცოცავი ოკუპაციის სახით, ადამიანების გატაცებით, რომელთაც საზღვარი კუთვნილ სახლებსა და ბაღებში გაუვლეს... მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ ეს საშინელება აღარასოდეს განმეორდება და ჩვენი მომავალი თაობა აღარასოდეს განიცდის იმას, რაც ქართველმა ხალხმა ხუთდღიან ომში გამოიარა...

საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ცხელი და მძიმე დღეების ქრონიკას ახლა წითელი ყაყაჩოები-აგვისტოს ომის სიმბოლო და იმ გმირების საფლავები გვახსენებს, რვა წლის წინ ზვარაკად რომ შეეწირნენ ჩვენს უსაფრთხოებას...

ინგა შიოლაშვილი

შინდისის ბრძოლიდან 8 წელი შესრულდა

2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელ შინდისთან დაღუპული ქართველი სამხედროები საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა გაიხსენეს.

მათ პატივი მიაგეს შინდისის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ხსოვნას და მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, აქ მოვდივართ მადლიერებით, რათა პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად, გმირულად დაგვიცვა ჩვენ, დაიცვა დედაქალაქი, დაიცვა ჩვენი სამშობლო ვერაგი მტრისგან, მადლობა და დიდება მათ სახელებს, მათ ხსოვნას, მადლობა მათ ოჯახებს, რომ ასეთი შვილები, ქმრები და ძმები გაგვიზარდეს,“ - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

შინდისის ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მომავლის იმედის ისტორია უწოდა და აღნიშნა: „ჩვენ ვიმყოფებით ადგილზე, რომელიც ტრაგიკულია, მაგრამ ამავე დროს თითოეული ჩვენთაგანისთვის - საამაყო. აქ 17 ქართველი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა და მათი ვაჟკაცობით მტერიც კი გააოცეს. ქედს ვიხრი მათ წინაშე, მათი დედების, მშობლების წინაშე! ეს ისტორია თაობებს უნდა გადავცეთ, რადგან ეს მომავლის იმედის ისტორიაა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერი, რომლებმაც ასეთი ვაჟკაცები გაზარდა, იქნება უკვდავი და ყველა მტერს დაამარცხებს“.

მოგვიანებით ლევან იზორია შინდისის ბრძოლაში დაღუპული სამხედროების მშობლებსა და ოჯახის წევრებსაც გაესაუბრა. გმირების მშობლებმა მინისტრს პრობლემები გაუზიარეს. მინისტრი მათ პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

შინდისის ბრძოლა 2008 წლის 11 აგვისტოს მოხდა და ერთ-ერთი გამორჩეული და მძიმე ეპიზოდია აგვისტოს ომის ქრონიკაში. რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ქვედანაყოფის 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

წლის ზეიმი

გასული საუკუნის იმ ეპოქაშიც კი, როდესაც კომუნისტური მთავრობა მკაცრად აკონტროლებდა, რომ 1-2 აგვისტოს ხალხი არ მისულიყო ელიის მთაზე და სანთელი არ დაენთო და მე, ყოველწლიურად, პარტიის დავალებით, ათეისტურ წერილს ვამზადებდი გაზეთში დასაბეჭდად (ამას დღეს გულწრფელად ვინანიებ), ადამიანების დიდი ნაწილი თავისას არ იშლიდა და ელიის მთაზე, ცხადლივ თუ მალვივ, სანთელსაც ანთებდა, საკლავსაც კლავდა და მამალსაც შეუფრენდა ხოლმე. შეიცვალა დრო, თავისუფალმა ადამიანმა ღმერთისკენ იბრუნა პირი და მისი ყოველი მოციქულის თუ წმინდანის სადიდებლად თავისუფლად დადის უფლის ტაძარში. აღდგა ძველი ეკლესიები, აშენდა ახლებიც. ამ მხრივ დიდი ცვლილებებია ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. თითქმის ყველა სოფელში ხალხს წირვა-ლოცვაზე დასწრების საშუალებას აქვს ეკლესიებსა თუ სამლოცველო სახლებში. ქალაქის ცენტრში აშენდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, შეკეთდა სამლოცველო სახლი 9 აპრილის ქუჩაზე, ძველ ნაფუძვარზე 2008 წელს აიგო წინასწარმეტყველთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული წმინდანის და მოსავლის მფარველის ილია თეზბიტელის ულამაზესი ტაძარი, რომელიც ელიის მთის კალთებზე მერცხლის ბუდესავით არის მიშენებული და იქედან მთა-გორებისა და ველ-მინდვრების თვალწარმტაცი პეიზაჟი იშლება, იმ ველ-მინდვრებისა, რომლის ბარაქას წლიდან-წლამდე სწორედ ელიას შეავედრებს ქიზიყელი ადამიანი. 1 აგვისტოს, საღამოს, აქ ღამისთევის მსახურება იმართება, 2 აგვისტოს კი – სადღესასწაულო რიტუალები. ოთხი წლის წინ მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით, 2 აგვისტოს სამოქალაქო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ დაემატა. ეს ორი ზეიმი ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს. წელსაც დედოფლისწყაროელებმა და მასთან ერთად უამრავმა სტუმარმა ხალისით აღნიშნა ეს დღე. მთელი ღამე არ წყდებოდა მომლოცველთა ნაკადი ღამისთევაზე დასასწრებად. საოცრად ლამაზია ამ ღამეს ელიის მთა და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეკლესიამდე მისასვლელ ახლადდაგებულ გზას ლამპიონები ანათებენ, ციმციმებს უამრავი სანთელი და ცა ვარსკვლავებით მოჭედილია. მთის მისადგომებთან წვრილმანით მოვაჭრე უამრავ ადამიანს მოუყრია თავი და შეუდარებელი ფიჭვნარის ტყის ფონზე გაუშლია სავაჭრო დახლები. ისინი, ძირითადად, სხვა რაიონებიდან არიან მოსულნი (დედოფლისწყაროელებს ვაჭრობა არცთუ კარგად ეხერხებათ!). 2 აგვისტოს, გამთენიიდან ისევ ახლდება მომლოცველთა ნაკადი. არის დიდი ჟრიამული, გადაძახილ-გადმოძახილი და დიდი ხნის უნახავი ნაცნობ-მეგობრების, თანაკლასელების, შორეული თუ ახლობელი ნათესავების მიკითხვ-მოკითხვა და გადაპატიჟ-გადმოპატიჟება. წვრილმანით მოვაჭრეთა დახლებს შესეული გოგო-ბიჭების ცნობისმოყვარე სახეები, რომლებსაც სიუხვის გამო, არჩევანის გაკეთება უჭირთ, „მიყიდეს“ ძახილით გაჟინიანებული პატარები, გასამმაგებული ფასებით უკმაყოფილო ბებია-პაპებისა თუ მშობლების ჯუჯღუნი და „დაშაქრულ-დამტკბარი“ გამყიდველები, რომლებიც ცდილობენ, კლიენტი ხელიდან არ გაუშვან. ტრადიციული „მამალოები“ და ფოჩიანი კამფეტები , „ბამბის მარონი“, „მომგებიანი“ ლატარიები, უხარისხო „ბიჟუტერია“ და სათამაშოები... ტყის სიღრმეში მოქეიფეთა სიცილ-ხარხარი და მწვადის შიშხინს ამოყოლილი მადისაღმძვრელი სურნელი... ეს დღისით, საღამოს კი, დათქმულ დროს – 7-8 საათზე ქალაქის ცენტრში, შადრევანის გარშემო, უამრავი ადამიანი იყრის თავს. ცერემონიის დაწყებამდე სეირნობენ და ერთმანეთს „მრავალს დაესწარიო“-ლოცავენ.

წელს, 2 აგვისტოს, „დედოფლისწყაროობის“ ცერემონიალს მრავალი სტუმარი ჰყავდა. აქ იყვნენ ხელოვანები, მაღალი საეკლესიო პირები, ჯერ კიდევ კახეთის გუბერნატორი და დღეს უკვე მომავალი საპარლამენტო არჩევნების „ოცნების“ კანდიდატი ირაკლი შიოლაშვილი.

კონცერტი გაიხსნა ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით შექმნილი ახალი სიმღერით კახეთზე, რომლის ტექსტის ავტორია პოეტი ნანა ცინცაძე, ხოლო მუსიკის ავტორები დათო არჩვაძე და გია ნიკოლაძე გახლავთ. სიმღერის პრემიერა მუსიკის ავტორებმა ჩვეულ მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულეს და მსმენელთა მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. ამ საღამოს ხალხის საყვარელი მრავალი სიმღერა შესრულდა. დათო არჩვაძემ, გია ნიკოლაძემ, კვარტეტმა „ჰანგებმა“, ნინო ძოწენიძემ, ვერიკო ტურაშვილმა, ნათია ქოროლლიშვილმა, ანი სირაძემ, მარი ტომარაძემ დიდი სულიერი მუხტი შესძინეს დამსწრე საზოგადოებას. მათთან ერთად მღეროდნენ და ცეკვავდნენ ახალგაზრდები, იღებდნენ სამახსოვრო სურათებს და ითხოვდნენ ავტოგრაფებს.

ტრადუციულად გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა საპატიო სიგელები გადასცეს ღირსეულ ადამიანებს. **„დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“** წოდება მიენიჭათ: **ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსს** მეუფე დიმიტრის (რამაზ კაპანაძე) და მეუფე სვიმეონს (თეიმურაზ ცაკაშვილს) **ჩვენს თანანმემამულეს, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსს, სულიერ ცხოვრების დონის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.** ასევე, ჩვენს თანამემამულეს, **ცნობილ მხატვარს და ხის კვეთის გამორჩეულ ოსტატს** გია (კორნაპე) ალუღიშვილს **ხელოვნების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეს, ვახტანგ გორგასალის 2-ე ხარისხის ორდენის, გენერალ კვინიტაძის 3-ე ხარისხის ორდენის, მედალი „საბრძოლო იარისთვის“ მფლობელს, ფარიკაობასა და ფრენბურთში საქართველოს ნაკრების წევრს** რომან აბაშიძეს, **ჩვენს თანამემამულეს** რამაზ გოგიბერიშვილს - **კალათბურთელსა და ქველმოქმედს, სპორტის საქმეში შტანილი წვლილისათვის.**

ამავე საღამოს დაჯილდოვდნენ **„დედოფლისწყაროს წარმატებული ადამიანის“** ტიტულის მფლობელები: **ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის ექიმები**-დიმიტრი ყოჩიაშვილი, ნინა (რუიზან) ბეროშვილი, **მომავალი თაობის აღზრდა -განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პედაგოგები:** დიანა გამხარაშვილი (სამთაწყარო), მაისო ნერსესიანი **(საბათლო),** ნიკოგი ხაჩიაშვილის, ნიკა ჩიბუხაშვილის და გიორგი ხიზანიშვილის **დაჯილდოვებამ.** ბატონმა ნიკა ჯანიაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მათ მშობლებს, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ თავიანთი შვილების საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრებისათვის და მხარში უდგანან მათ.

წელს პირველად **„წარმატებული ადამიანის“ ტიტული** მიენიჭათ **ახლადკურსდამთავრებულებს,** რომლებმაც მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრეს **საჯარო სკოლა,** ახლა გადიან ცხოვრების ასპარეზზე და იმედიან მომავალს გვპირდებიან. ესენი არიან: ოქროს მედალოსნები: **დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლიდან-** ანა ბულაშვილი, იოსებ ზურაშვილი, მარიამ ლაპიაშვილი, მარიამ ლოლაშვილი, მარიამ ყოჩიაშვილი, გვანცა მახარაშვილი, თამარ მოდებაძე, კესარია ყოჩიაშვილი, მარიამ ხოსროშვილი, ანა არაბული, **ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლიდან**-ერეკლე ჩერქეზიშვილი და მარიამ ნიკვაშვილი, **სამრეკლოს საჯარო სკოლიდან**- ნიკა ტალიაშვილი, ეკა ნასრაშვილი, მარიამ ძმანაშვილი, მაკა ჩუბინიძე, **არბოშიკის საჯარო სკოლიდან** ამირან ბატიაშვილი, თამუნა ანთაური და ანა არაბული **არხილოსკალოდან,** გიორგი ქუმსიაშვილი **ქვემო ქედის საჯარო სკოლიდან. დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, ვერცხლის მედალოსნები:** ანა ხუმარაშვილი, ირაკლი თავაძე და ლაშა გონაშვილი **დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლიდან,** ნათია ბიკაშვილი **ხორნაბუჯის სკოლიდან,** ქეთევან რაგულენკო **არბოშიკის სკოლიდან,** ბაჩანა ნაროზაული და ლიკა კვირიკაშვილი **გამარჯვების სკოლიდან,** ციალა გოგიშვილი **ზემო ქედის სკოლიდან,** სალომე ბარამაშვილი და ანნა ფხიკლეიშვილი **ქვემო ქედის სკოლიდან.** დღეს ეს ახალგაზრდები აბიტურიენტები არიან და თავიანთ ბედს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სცდიან. იმედი გვაქვს და გვინდა ვისურვოთ, რომ ჩვენმა მომავალმა საზოგადოებამ მათგან მიიღოს სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიული სპეციალისტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში თავის სიტყვას იტყვის.

გვიან ღამემდე ეფინებოდა ქალაქს მხიარული მუსიკის ჰანგები. კიდევ ერთი „ელიაობა -დედოფლისწყაროობა“ მიითვალა რაიონის ისტორიამ.

ნაირა გორაშვილი

ხალხური შემოქმედება

ელიას

საქართველოში სად არ შეხვდებით,
ძველად ნაშენებ ტაძრებს,
ბევრი მრავალი საუკუნისა
და კიდევ რამდენს გასძლებს!
მასთან მისული მრევლის თვალები
ბევრჯერ იმედით სავსე,
მრავალი ვიცით სასწაულების
მომსწრენი გახდნენ წამსვე.
ერთ-ერთი არის თავად ელიაც
დედოფლისწყაროს მთაზე,
მის დღესასწაულს ისე ელიან
ვით მზის ამოსვლას ცაზე,
იმის ძალასა და სილამაზეს
შორით ასხაედნენ ხოტბას,
დღეს არვინ დარჩა აქ მოუსვლელი
არც ქალაქად, არც სოფლად,
კილომეტრიან რიგში დგას ხალხი,
რომ დატკბნენ მისი ხილვით.
ყველა თავისას შესთხოვს და სჯერათ,
ბრმაც რომ უჯოხოდ იელის.
დღეს აქ რამდენი სანთელიც ბრწყინავს,
იწვის და მერე ქრება,
იმდენ წუალობას გასცემს ელია,
ვინც რამდენს ელოდება!

ლამზირა (გიული)
ჯავახიშვილი.
2016 წელი, 2 აგვისტო.

„გადაირჩინე შენი სული და შენს ირგვლივ ათასები გადარჩებიან!“ – დიმიტრი ექიმის ცხოვრების ისტორია

2 აგვისტოს ელიათობის და დედოფლისწყაროობის დღესასწაულზე, რამდენიმე სხვა მოქალაქესთან ერთად ჩვენი რაიონის ღვაწლმოსილი ექიმი, დიმიტრი ყოჩიაშვილი წარმატებული დედოფლისწყაროელის ტიტულით დააჯილდოვეს. ბატონი დიმიტრი მთელი თავისი მოქალაქეობრივი და პროფესიული შეგნებით, მაღალი ადამიანური თვისებებით ნამდვილად ღირსეულია და მას დამსახურებულად ეკუთვნის ატაროს წარმატებული დედოფლისწყაროელის სახელი.ამ ამბავთან დაკავშირებით დიმიტრი ექიმს საკუთარ სახლში ვეწვიეთ და მივულოცეთ. **გთავაზობთ ინტერვიუს** ДИМИТРИ ЧОЧИАШВИЛИТАН

ДИНИ ДОЧИЛИ: დაიბადა 1966 წელს წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძეში. 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფ. ჯაფარიძის საშუალო სკოლა. 1984 წელს ჩაბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე, 1993 წელს ინსტიტუტის წარმატებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სოფელ ზემო ქედის საუბნო საავადმყოფოში ექიმ—პედიატრად, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა და დიდი გამოცდილება მიიღო, დღესაც სიამოვნებით იხსენებს იმ წლებს. შემდგომ წლებში დიმიტრი ყოჩიაშვილი მუშაობს დედოფლისწყაროს რაიონულ საავადმყოფოში ექიმ— ოტორინოლარინგოლოგად.

- ბატონო დიმიტრი, ყველა ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობის ცხოვრების კონტურები, თავისთავად ცხადჰყოფს და წინასწარ პროგნოზირებს ხოლმე ადამიანის მომავალს, თქვენ როგორი ბავშვობა გქონდათ და თუ გაავლებდით პარალელებს თქვენს დღევანდელობასთან.

- სიამოვნებით ვიხსენებ ბავშვობის წლებს. ზოგადად ჩემს თაობას ლაღი და უზრუნველი ბავშვობა გვქონდა. უმრავლესობა კარგად სწავლობდა და ცხოვრობდა კიდეც, ვმეგობრობდით ერთმანეთთან, ხშირად ერთადაც ვმეცადინეობდით.

- პროფესიის არჩევა როდის და რა გარემო პირობებმა გადაგაწყვეტინათ?

-არასდროს დავფიქრებულვარ ვინ მინდოდა გამოვსულიყავი, თითქოს ჩემი არჩევანი, ჩემთან ერთად არსებობდა ყოველთვის. როდესაც მშობლებმა მკითხეს მომავალი პროფესიის შესახებ, ვუთხარი: რა თქმა უნდა, ექიმი—მეთქი! ეს ჩემი შინაგანი ძახილი იყო და არის ამჟამადაც.

- არაერთი ჯილდოც გექნებათ ბავშვობიდან დღემდე, თქვენ ხომ საუკეთესო იყავით ყოველთვის.

- ხშირად მონაწილეობას ვიღებდი მოსწავლეთა სასწავლო—შემოქმედებით კონფერენციებში, სადაც სხვადასხვა საგნებში მიღებული მაქვს დიპლომები და სიგელები.

- რას გავალებთ პროფესიის მანტია და რამდენად განიცდით პაციენტის გაჭირვებულ ყოფას?

- ექიმის პროფესია ერთ—ერთი ყველაზე რთულია პროფესიებს შორის. ჩვენ ხომ ადამიანების სიცოცხლესთან გვაქვს კავშირი!

ექიმისთვის ხშირად პირადული საკითხები იწევს უკანა პლანზე, ანდა საერთოდ ქრება, როდესაც საქმე ავადმყოფის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლეს ეხება. ჰიპოკრატე ამბობდა: ექიმი არის სანთელი, რომელიც იწვის, რომ სხვას გზა გაუნათოსო. სულხან—საბა ექიმის მცნებას განმარტავს, როგორც ავადმყოფის გამამხიარულებელს. ხშირად ეს ასეც არის, ექიმის ენას, მის საუბარს დიდი როლი აკისრია ავადმყოფის გამოჯანმრთელების საქმეში, რადგან სწორედ მას შეუძლია კარგ გუნებაზე დააყენოს იგი. ყველა პაციენტს მოფერება უნდა, განსაკუთრებით კი, გაჭირვებულ პაციენტს, რადგანაც ის ორმაგად გაჭირვებულია!

- რას იტყვით ხოსე მარტის ამ გამონათქვამზე,-„იყო ადამიანი- ეს არის ყველაზე ძნელი პროფესია“?

- მართლაც, „იყო ადამიანი—ეს არის ყველაზე ძნელი პროფესია''. მიუხედავად გაჭირვებისა და გადატანილი უამრავი პრობლემისა, როდესაც არ უტყდები ცხოვრებას და არ კარგავ ყველაზე ძვირფასს—ადამიანურობას—ეს ნიშნავს, რომ ხარ ძლიერი! დიდი გალაქტიონი ამბობდა: ,,წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი!“

- ოჯახზე და შვილებზე რას იტყოდით, რა გეგმები გაქვთ შვილების მომავალთან დაკავშირებით?

- მყავს მეუღლე—თამარ ბოსტაშვილი, რომელიც მუშაობს N1 საჯარო სკოლაში პედაგოგად და სამი შვილი—ანასტასია, ლიზი და მარიამი. ბავშვები სკოლაში დადიან, სამივეს ექიმობა უნდა, თუმცა, ჯერ კიდევ რამდენიმე წელი აქვთ წინ და იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ პროფესიის არჩევასათან დაკავშირებით. ეს მათი გადასაწყვეტია, ერთი ვიცი, რომ კარგი სპეციალისტები დადგებიან, მე ამის იმედი მაქვს. ჩემი ცხოვრების სასწაულები ჩემი შვილები არიან!

- რა საქმით არის დაკავებული დიტო ექიმი თავისუფალ დროს, გაქვთ რაიმე ჰობი, ვიცი, რომ გიტარასაც უკრავთ და მღერით ხოლმე სუფრასთან მოლხენისას!

- ჩემი ჰობი მოგზაურობაა, ძალიან მიყვარს მოგზაურობა, სხვადასხვა ქვეყნების ნახვა,თავისუფალ დროს ვკითხულობ, ვუსმენ კლასიკურ მუსიკას , სოულს, მიყვარს ქართული სიმღერებიც. გიტარა მოყვარულის დონეზე ვიცი, პროფესიონალი მომღერლები სახლში მყვანან, მამა, მეუღლე, შვილები კარგად მღერიან, მე უფრო მსმენელის როლში ვარ ხოლმე.



- ჩვენ , ადამიანები დროებით სტუმრები ვართ წუთისოფლის, მარადიულობაზეც გექნებათ ნაფიქრი, რა უნდა ვაკეთოთ თქვენი აზრით,ისეთი, რომ წარუშლელნი დავრჩეთ ამ ქვეყნად?

- ჭეშმარიტად, ჩვენ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ და ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ დაგვაფასოს. პირველ რიგში ჩვენი სულიერება არ უნდა დავკარგოთ! წმინდა მამა სერაფიმ საროველი ამბობდა: „გადაირჩინე შენი სული და შენს ირგვლივ ათასები გადარჩებიანო!“- ვიზრუნოთ საკუთარი სულიერების ამაღლებაზე. ყველაფერს მივუდგეთ რწმენითა და საქმის სიყვარულით, რამეთუ ყოველი საქმე, რომელიც უსიყვარულოდ იწყება, საფუძველშივე მკვდარია!

- თქვენი შეხედულება დღვანდელობისადმი, რას ეთანხმებით, რას აპროტესტებთ, როგორია თქვენი შეფასება დღეს არსებული მდგომარეობისადმი?

- დღეს, ჩვენი საზოგადოება რთულ პერიოდში ცხოვრობს, ხშირად ბეწვის ხიდზე უწევს ჩვენს ქვეყანას გავლა და ყველაფერი მთავრობის გონიერებაზეა დამოკიდებული. ვისურვებდი, მეტი პროფესიონალი მოღვაწეობდეს ყველა სფეროში, პოლიტიკიდან დაწყებული — მედიცინით დამთავრებული. მჯერა, საქართველო გამთლიანდება, უამრავი ემიგრანტი სამშობლოს დაუბრუნდება, რამეთუ ,,საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- მე, როგორც ოპტიმისტი, მომავლისგან ველოდები მხოლოდ კარგს!

- მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რომ საინტერესო რესპოდენი იყავით.

- მადლობა თქვენ, დიდი სიყვარული და მოკითხვა „შირაქის“ რედაქციას. წინსვლა და უთვალავი მკითხველი მინდა გისურვოთ.

ЛЯЛИ МЕЧРИШВИЛИ

მზია ხეთაგურის წიგნის „ღამის დარაჯის“ პრეზენტაცია

აგვისტოს ცხელ დღეებში დედოფლისწყაროში თითქმის ყველგან შეხვდებოდით აფიშას, რომელიც გამვლელ-გამომვლელის, განსაკუთრებით კი პოეზიის მოყვარულთა ყურადღებას იქცევდა.

იგი მოსახლეობას ამცნობდა, რომ სათნოების სახლ „სავანეში“ გაიმართებოდა ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის მზია ხეთაგურის წიგნის „ღამის დარაჯი“ პრეზენტაცია.

სათნოების სახლის დირექტორი მარინე ტოკლიკიშვილი და მისი თანამშრომლები გულთბილად ხვდებოდნენ „სავანეში“ მობრძანებულ სტუმრებს და ბენეფიციარებს.

პრეზენტაციის პროექტის ავტორმა და ორგანიზატორმა, მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ ვრცლად ისაუბრა მზია ხეთაგურის – ცნობილი პოეტის და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული დიდი მასშტაბის ადამიანის, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერის, „მწიგნობარის“ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ახალი წიგნის „ღამის დარაჯის“ შესახებ.

წიგნში შესულია როგორც ძველი, ისე ახალი ლექსები და არა მარტო ლექსები, არამედ მზიაზე დაწერილი ცნობილი ადამიანების ესეები და თავად პოეტის მოგონებები.

მართალია, თავად მზია ვერ ესწრებოდა თავისი წიგნის პრეზენტაციას, მაგრამ მისმა უახლოესმა მეგობარმა, ცნობილმა ახალგაზრდა პოეტმა, გერმანიაში მოღვაწე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, სახალხო უმაღლესი სკოლის დოცენტმა, გერმანიის ქალაქ ბონის სამოქალაქო რადიოს ქართული გადაცემების „სარკმელი საქართველოსკენ“ რედაქტორმა, ჟურნალისტმა და წამყვანმა, დედოფლისწყაროს საამაყო შვილმა ირმა შიოლაშვილმა სიურპრიზი მოუწყო საზოგადოებას და წაიკითხა მისი ლექსები -„ჩვენთან არის მზია ხეთაგური დახვეწილი რითმებით, გამოკვეთილი და ზუსტი სათქმელით. გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია ამ ლექსებს, მზია ხეთაგურმა კარგად იცის, რა თქვას და როგორ თქვას. – ასე დაახასიათა.

მზია ხეთაგურის ლექსები მხატვრულად წაიკითხეს ნონა ნიკვაშვილმა (სათნოების სახლის სპეციალისტი) და ლედი ჯანიაშვილმა (ბენეფიციარი, ღვაწლმოსილი მუშაკი მედიცინის დარგში).

საპატიო სტუმარმა ჯუმბერ უთრუთაშვილმა ექსპრომტი უძღვნა იუბილარ პოეტს, რომლის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო მარჯანიშვილის თეატრში 17 მაისს გაიმართა.

შთამბეჭდავი იყო ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი“ რედაქტორის გიორგი ნატროშვილის სიტყვა. მან ალმანახის პირველი ნომერი საჩუქრად გაუგზავნა მზია ხეთაგურს.

მზიას შემოქმედებაზე ისაუბრეს და ბენეფიციარებს ჯანმრთელობა , დიდხანს სიცოცხლე და ასეთი ლამაზი საღამოების სიმრავლე უსურვეს მწიგნობართა ასოციაციის წევრებმა: მარინა ღვინიაშვილმა, ლენა ღარიბაშვილმა, თამრიკო ჯანიაშვილმა, თამილა პოპიაშვილმა, მზია წყარუაშვილმა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ქეთი ჩაფიაშვილმა ფანდურზე შესრულებული ქართული ხალხური სიმღერებით დაატკბო მსმენელი.

მზიას შემოქმედება ამოუწურავია, იგი გახლავთ მშვიდობის დესპანი ორ უახლოეს ერს-კერძოდ, ქართველებსა და ოსებს შორის, მისი ინიციატივით საქართველოს მწერალთა სახლში 2015 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა სამაჩაბლოდან დევნილი პოეტების ცოლ-ქმარის ნათელა ნებიერიძის და უშანგი კახნიაშვილის წიგნის „სამაჩაბლო, სატკივარი ჩვენი“ წიგნის პრეზენტაცია, რომლის შესახებაც ვრცელი წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ჰოროსკოპში“ ქალბატონმა მზიამ ნათელა ნებიერიძეს და უშანგი კახნიაშვილს და ვისაც სამჩაბლო სტკივა მიუძღვნა ლექსი „თუ სამაჩაბლოს ვერ დავიბრუნებთ.“

ბენეფიციალმა, პიეზიის თაყვანისმცემელმა, ნინო სეხნიაშვლმა გაიხსენა დიდი ხნის წინათ დედოფლისწყაროში მაყვალა გონაშვილის, მზია ხეთაგურის და სხვა ცნობილი პოეტების სტუმრობა, მთელი თვე აღტაცებული ვიყავი მათი პოეზიით, დღესაც დიდი სიამოვნება მივიღე, კარგი იქნებოდა ქალბატონი მზია აქ ყოფილიყო, „უპატარძლო ქორწილი“ გამოგვივიდა, მაგრამ მაინც კარგი იყო.

მე ყოველთვის თვალს ვადევნებ მწიგნობართა ასოციაციის მიერ გამოკრულ აფიშებს და სისტემატიურად ვესწრები მათ მიერ მაღალორგანიზებულ დონეზე გამართულ ღონისძიებებს, მათ შორის წიგნის პრეზენტაციებს: მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა ირმა შიოლაშვილის წიგნის „ფოთლების ხიდი“, რეზო ჭიჭინაძის-„გულის ქისაში ნადები“, ნინო პოპიაშვილის --„ომი ქალის მეხსიერებაში“, თამარ ლიჩელის –“თენგიზ ამირეჯიბი“, ეთერ ფაცურიას – „თარაში“ პრეზენტაციები. ბენაურის კერძო სკოლაში დიდი ინტერესი გამოიწვია გაგა ლომიძის რედაქტორობით ირაკლი ჩარკვიანის შესახებ გამოცემულმა წიგნმა „ამბავი მეფეზე“ და სხვა.

ბენეფიციალების სახელით მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ ვანო ნატროშვილს, რომლის უშუალო პატრონაჟით იმართება ეს საღამოები, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს, რომელსაც ერთი დღე არ შეუძლია, შემოქმედებითი ცხოვრების გარეშე და ჩვენც, წიგნის მოყვარულებს, გვაზიარებს ერის სულიერ საგანძურს, სათნოების სახლის დირექტორს მარინე ტოკლიკიშვილს, თითოეულ თანამშრომელს და ყველას, ვინც ჩვენთან მობრძანდა დ ა ერთი ლამაზი და დაუვიწყარი დღე გვაჩუქა.

ექსპრომტი მიუძღვნა კოლეგას ჯუმბერ უთრუთაშვილმა:

მზია ხეთაგურს!

სახელს ამართლებ საქმით, იერით,
ჩამოღვენთილი ლექსში რითმებად,
იმიტომა ხარ მხნე და ძლიერი,
შენი ლექსით რომ ხალხი ითვრება.
ეშხი გაქვს ისევ ემაწყვილქალური,
ისევ ანათებ, ისევ კაშკაშებ,
გწვავდა, ისევ გწვავს ლექსის ალმური,
ვერ გაუგიათ ბეჩავ ვაჟკაცებს.

ჯუმბერ უთრუთაშვილი
06.08.2016
ილია მარტყოფლიშვილი

„კარგი მოსავლის წინაპირობაა ნიადაგის კარგად დამუშავება, ხარისხიანი თესლი და ამას დამატებული კარგი ამინდი“

ბაჩუკი გონაშვილს დედოფლისწყაროელების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. უამრავი თანამდებობის გამოცვლის შემდეგ მან ფერმერულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მრავალწლიანი ფერმერული საქმიანობის გარდა ის პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეც გახლდათ, ამდენად საინტერესოა მისი შეფასებები, როგორ მიმდინარეობდა ალოობის პროცესი დედოფლისწყაროში, რამდენად საუკეთესო მოსავალი დაფიქსირდა შირაქის ველზე და რა პრობლემებია მარცვლეულის რეალიზების კუთხით.

ბეჟან (ბაჩუკი) გონაშვილი: „წელს ძალიან კარგი მოსავალი იყო, მაგრამ ხალხური ანდაზაა: „მოსავალი ისაა, რაც უკვე ბეღელშიაო“. მთავარია, მისი კარგად დაბინავება და კარგად მოხმარება. გასულ წელსაც კარგი მოსავალი იყო. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ორი წლის განმავლობაში ზედიზედ კარგი მოსავალი ყოფილიყო, ასეთი პრაქტიკა დედოფლისწყაროს არ ახსოვს. ძალიან კარგი იყო 1988, 1990, შემდეგ სულ ჩავარდნები იყო, ძალიან უხვმოსავლიანი გამოდგა 1997 და 2001 წლები. 2001 წლის შემდეგ უხვი მოსავალი აღარ ყოფილა. მითუმეტეს მხოლოდ ხორბლის კი არა, წელს მზესუმზირის, სიმინდის და ყველა კულტურებში საუკეთესო მოსავალი დაფიქსირდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ რეკორდული მოსავალია დედოფლისწყაროში. ამ რაიონის არსებობის ისტორიაში მოსავლის ოდენობა 100 000 ტონას არ აჭარბებდა, 1988 წელს სწორედ ასი ათას ტონამდე მოიმკა, მას შემდეგ ამდენი ფართობი არ დათესილა, გაიზარდა დამუშავებული ფართობებიც. გასული წლის მაღალმა მოსავალმა განაპირობა, რომ წელსაც ბევრმა დაამუშავა მიწა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 120 ათას ტონას მიაღწევს წლევანდელი მოსავლიანობა.

- ასეთი კარგი მზესუმზირა დედოფლისწყაროში არც მე მაქვს ნანახი...

- გეთანხმებით, არანაკლებ უხვი მაჩვენებელი ექნება მზესუმზირას. ცნობილია, რომ დედოფლისწყაროში მზესუმზირის კარგი მოსავალი საერთოდ იშვიათადაა ხოლმე. ბოლო 15 წელია მზესუმზირა აღარ ამართლებდა, წელს უნდა ითქვას რომ მართლაც კარგი მოსავალი მოვიდა. შევეცდები ავხსნა, რამ განაპირობა უხვმოსავლიანობა, ეს მხოლოდ კარგი ამინდის დამსახურება არ არის. პირველ რიგში მოსავალს განაპირობებს ის, რომ დედოფლისწყაროში უკვე კარგად ჩამოყალიბდა გამოცდილ ფერმერთა ფენა. როგორც ეს საქმე გათავისებული აქვთ და ყველაფერი კარგად შეისწავლეს. მეც უკვე 2004 წლიდან არანირ სხვა საქმიანობას ალარ ვეწევი და მთლიანად ფერმერულ საქმიანობას მოვკიდე ხელი. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ვგრძნობ, რომ ყოველწლიურად რაღაც ახალს ვსწავლობ. პრაქტიკა და გამოცდილება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

- რას უკავშირებთ მოსავლიანობის გაუმჯობესებას?

- მიწების 80-90% ისეთი ადამიანების ხელშია, ვინც არა დილეტანტის დონეზე უდგება ამ საკითხს, არამედ სისხლხორცეულად არის მიწას შეჭიდებული და მათი ოჯახის ეკონომიკა მოსავლიანობაზეა დამოკიდებული. გასულ წელს, როგორც კი ალოობა დამთავრდა, დედოფლისწყაროს მოსახლეობას ერთი დადებითი ტენდენცია შევამჩნიე, რაც სასიამოვნო იყო. ყველა ეძებდა ხორბლის კარგ თესლს. ანუ თესვის წინ ფიქრობენ, რომ ჭკვიანურად შეარჩიონ სათესლე მასალა და ეს ბევრს ნიშნავს. ამინდი იმდენს არაფერს წყვეტს, რამდენსაც სათესლე მარცვლის სწორად შერჩევა. კარგი მოსავლის წინაპირობა არის ნიადაგის კარგად დამუშავება, ხარისხიანი თესლი და ამას დამატებული კარგი ამინდი. ამ სამ კომპონენტს ვერ განასხვავებ ერთმანეთისგან, ყველა გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. თუ რომელიმეს დააკლებ, მოსავალს ვერ მიიღებ. წელსაც ვიცი ნაკვეთები, სადაც ორი ტონაც ვერ მოიმკეს, იმიტომ რომ რაღაც დააკლდათ, რაღაც სწორად ვერ გათვალეს.

- რამდენად ხელმისაწვდომია ხარისხიანი თესლი?

- წელს შემოსული იყო მაღალხარისხიანი თესლი რუსეთიდან, სტავროპოლის მხარიდან. ყოველთვის ამას ვამბობდი და ამავეს ვამტკიცებ ახლაც, რომ სტავროპოლის მხარე თავისი კლიმატური პირობებით ძალიან ახლოსაა დედოფლისწყაროსთან და ყველაზე მეტად ეს სათესლე მასალა ამართლებს რადგან ადვილად ეგუება ჩვენს პირობებს. კრასნოდარის მხარის ჯიშები ჩვენთან არ ხარობს, მაგრამ სტავროპოლის ჯიშები ყოველთვის კარგ შედეგს აჩვენებს, ამიტომ კარგად უნდა ვიცოდეთ, რა დავთესოთ. რაც სტავროპოლშია დარაიონებული და აქ დათესილა, ყოველთვის მაღალმოსავლიანობა ფიქსირდებოდა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, ყოველთვის ელიტარული მასალა სტავროპოლიდან შემოგვქონდა. მე პირადად ორი წლის წინ ვიყიდე „ტანიას“ ჯიშის სათესლე მასალა, 1,65 ლარი გადავიხადე კილოგრამში და შემდეგ გავამრავლე. პირველივე წელს, საშინელი გვალვა იყო, მაგრამ 5 ტონა მოსავალი მივიღე ჰექტარზე. სხვა ნაკვეთები იმდენად ცუდი იყო, 150 ჰექტარში კომბაინიც არ შეიყვანე, მაგრამ სადაც „ტანია“ მეთესა, მხოლოდ იმ ნაკვეთმა გამიმართლა გვალვის მიუხედავად. არ დაიჯერებთ, მაგრამ გვერდიგვერდ დათესილ ნაკვეთებში, ერთმა 5 ტონა მოსავალი მომცა, მეორეში კომბაინიც არ შევიდა. ამხელა მნიშვნელობა აქვს თესლს. შემდეგ 60 ჰექტარზე იგივე თესლი დავთესე და გავამრავლე, რომ მასალა სამომავლოდაც მქონდეს. წელს კი უკვე მთლიანად ყველა ნაკვეთი ამ ჯიშით დავთესე. საცდელად სხვა ჯიშიც ვიყიდე, ისიც დავთესე და „ტანიამ“ ისევ აჯობა, ფაქტიურად, ჰექტარზე ერთი ტონით მეტ მოსავალს იძლევა. სამომავლოდ კიდევ უნდა დავხვეწოთ.

- რაც შეეხება ტექნიკის ხელმისაწვდომობას და ფასებს...

- რაც დიდია ნაკვეთი, მით იაფდება მექანიზატორის ტექნიკით სარგებლობის გადასახადი, რაც ჩემი აზრით, სწორი არ არის. ფერმერს რაც მეტი ნაკვეთი აქვს, მით ძლიერია მისი ფინანსური შესაძლებლობები და გლეხებს კი ყოველთვის ცოტა ფართობი აქვთ. ამიტომ, ამ მიდგომით ისევ მცირემიწიანი გლეხები ზარალდებიან და სარგებლობენ მსხვილი ფერმერები. დიდ ნაკვეთში წარმადობაც მეტია და მეპატრონესაც მეტი შემოსავალი აქვს. რა ქნას იმ ადამიანმა, ვისაც ნახევარი, ან ერთი ჰექტარი მიწა აქვს და ყველაზე ძვირს იხდის? ჩემი დამოკიდებულება ასეთია, რომ ასე არ უნდა ხდებოდეს. შპს „მექანიზატორის“ ტექნიკა რაღაც ფორმით უფრო მეტად უნდა მოერგოს სოფლებს. ბოლო წლებში ნაწილობრივ გაითვალისწინეს შენიშვნები და დადებითი ძვრებიც არის. რაიონებში შექმნილი მექანიზაციის ცენტრებიდან სოფლებში გადაანაწილეს ტექნიკა და ეს მისასალმებელია. ტექნიკა რომ არ გადაენაწილებინათ სოფლებში, პატარა ნაკვეთების დამუშავება ძალიან გაჭირდებოდა. არცერთი კერძო ტექნიკა არ წავა საზღვრისპირა სოფელში, მითუმეტეს პატარა ნაკვეთის გამო. ასეთ დროს სახელმწიფო მიდგომა უნდა იყოს განსხვავებული და სახელმწიფო ტექნიკა გახდეს ხელმისაწვდომი. ამიტომ, მგონია, რომ „მექანიზატორს“ სახელმწიფომ დოტაცია უნდა გაუზარდოს, რომ ტექნიკა გაცილებით ხელმისაწვდომი გახდეს გლეხისთვის. დღეს ისევ ისმის საუბარი, რომ ახალი ტექნიკა გვაქვს, მაგრამ ფასი არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის. საწვავის ფასი დაეცა, მაგრამ არ იაფდება ტექნიკით მომსახურება. ძალიან საცოდაობაა, როცა სეზონზე დილით ასობით ადამიანი დგას მექანიზაციის ცენტრთან, და რიგს ელოდება. მიუხედავად იმისა, რომ თანხას იხდიან, მაინც რიგში დგომა უწევთ, ხვეწნა-მუდარა სჭირდებათ, რომ მოუწიოთ რიგმა. კომბაინერსაც და სახელმწიფოსაც აწყობს რომ დიდ ნაკვეთებში წავიდნენ და მეტი მოგება შემოიტანონ. იჩაგრება გლეხი, რომელსაც ხორბალი გამოსაკვებად სჭირდება და არა სარეალიზაციოდ და ფინანსური სარგებლის სანახავად. ასეთი ფერმერები ვერასოდეს ამინდს ვერ ქმნიან სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ეს არის ქვეყნის სოციალური სეგმენტი და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, თუკი სოფელში მოსახლეობა საკვებად საჭირო პურით უზრუნველყოფილი იქნება და ლუკმას მთავრობას არ მოსთხოვს.

- თქვენი შეფასებით, როგორია სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში?

- „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფერმერებისთვის ერთი დადებითი ტენდენცია ჩანს ის, რომ სესხები გახდა ძალიან ხელმისაწვდომი. ნებისმიერ ბანკში მიხვალ, თუ გაქვს ქონება და საქმიანობას ეწევი, პრობლემა არ არის. მაგრამ ერთია, რომ სესხს აიღებ და მეორეა როგორ დააბრუნებ მას. ვალი რომ დააბრუნო, რეალიზების პრობლემა არ უნდა იყოს, ხორბალი კი არ იყიდება. ვერ ვყიდით, რადგან გამალებული შემოდის რუსეთიდან. ფოთის პორტში აურაცხელი გემი იცლება. ბიზნესის კუთხით თუ მივუდგებით, უნდა ვთქვათ, რომ ხორბლის შემოტანის შეზღუდვა არ შეიძლება, აკრძალვებით საქმე არ კეთდება. მაგრამ, მიმაჩნია, რომ უნდა დაწესდეს სეზონური გადასახადი. ასევე სახელმწიფო მიდგომა უნდა დავუპირისპიროთ. ქართული ჯარი, პენიტენციური სისტემა და სხვადასხვა უწყებები მომარაგდეს ქართული ხორბლით და პირველ რიგში იხეიროს ადგილობრივმა წარმოებამ, შემდეგ კი შემოტანილის რეალიზება მოხდეს. თავად სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ფერმერს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებაში. სეზონურად უნდა დაწესდეს სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოებები იმპორტისათვის. რაც არამც და არამც არ გულისხმობს აკრძალვას. ამის ნათელი მაგალითია თურქეთი, ისრაელი.

როცა პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, მივიღეთ ასეთი კანონი, რომ მთავრობას აქვს შემოიღოს სეზონური საბაჟო ტარიფები. იმ პერიოდში, როცა აქ მოსავლის აღება მიმდინარეობს და გვაქვს პროდუქცია, რომელიც ჩვენი მრეწველობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. რამდენიმე თვით შემოაქვს განსხვავებული საბაჟო ტარიფი.

- რაკი პარლამენტში მოღვაწეობას იხსენებთ, მინდა გკითხოთ, რამდენად ნაყოფიერი იყო თქვენი მუშაობა აგრარულ კომიტეტში, რისი შესაძლებლობა მოგეცათ?

- დღემდე საამაყოდ მაქვს ის გარემოება, რომ პარლამენტში 28 კანონპროექტი გავიდა ჩემი ხელმოწერით, რომელთა ინიციატორიც მე ვიყავი. სტიქიით მიყენებული ზარალის შემთხვევაში ფერმერის გათავისუფლება გადასახადისგან, ამ გადაწყვეტილებას კი ადგილობრივი საკრებულო მიიღებს. კანონში დევს, მაგრამ სამწუხაროდ არ იყენებენ.

- გასულ წელს მასშტაბური ხანძრები დაფიქსირდა შირაქში, მას შემდეგ სახელმწიფო ნაკვეთების გადაწვის აკრძალვაზე მუშაობს, ვიცი, რომ დიდი ხანია თქვენც უარი თქვით და აღარ იყენებთ ნაკვეთის გადაწვის მანკიერ პრაქტიკას...

- ჩემს ნომერ პირველ დამსახურებად ვთვლი იმას, რომ მრავალი წლებია საკუთარი ნაკვეთი აღარ გადამიწვავს. სხვათაშორის ამით მოსავლიანობაც მკვეთრად გავზარდე. რაც დამოუკიდებელ ფერმერულ მეურნეობას ვეწევი, მას შემდეგ ამ ნამჯას ვკუწავ და ნაკვეთშივე ვხნავ... მართალია ცოტა რთულდება და ხარჯები იზრდება, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს იგივე სასუქია მიწისთვის. არასოდეს ნაკვეთი არ გადამიწვავს, რადგან ვიცი, რომ ამით ნიადაგი ღატაკდება. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ჭუმუსის წარმოქმნას საუკუნეები სჭრდება, გადაწვის შემდეგ კი ნიადაგში 2 სმ სისქეზე ყველანაირი საკვები ნივთიერება კვდება. წარმოიდგინეთ, ეს რამხელა კატასტროფას ქმნის. საჩეხი ჩაკუწავს და შემდეგ უნდა მოხნა და დაამუშაო. დიდი ხანია მოსავლის აღებისთანავე ვხნავ მიწას. მიდის კომბაინი, უკან მივყვებით და პირდაპირ ვხნავთ. საწყენად არ ვამბობ, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით ამიტომ ვიღებ უკეთეს მოსავალს.

- როგორ აფასებთ აგრო ბარათების პროექტს, რამდენად ნაყოფიერია ამგვარი პროექტები სოფლის მეურნეობის წასახალისებლად?

- აგრობარათების მიმართ თავიდანვე პესიმისტურად ვიყავი განწყობილი. მიმაჩნია, რომ ამ ბარათებს არავითარი სიკეთე არ მოუტანია გლეხისთვის. ბევრი მათგანი ყიდდა და არამიზნობრივად იყენებდა. ის 800 მილიონი, რაც აგრობარათების პროექტისთვის ჩაიდო, უმჯობესი იყო სხვა სქემის მიხედვით დახარჯულიყო და უფრო ეფექტს მოიტანდა. სასურველია, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულიყო, რადგან ნაკვეთებთან მისასვლელი გზები არ არის. ხორბალს რომ მოიმკი უნდა იყოს გზა, რომ მოსავლის გამოტანა შეძლო. წვიმები რომ მოდიოდა, შირაქში რჩებოდა მანქანები და კომბაინები ვერ გამოდიოდნენ. არც ელექტროენერგია და წყალი არ არის შირაქში. ასე კი მაღალ პროდუქციას ვერ მივიღებთ. ხელისუფლების დადებით ნაბიჯებს რაც შეეხება, კიდევ მისასალმებელი ფაქტია ის, რომ საცდელი ნაკვეთები შეიქმნა და ჯიშებს ცდიან, რომ ვიცოდეთ სად რომელი სახეობა ამართლებს. ჯერ საწყის ეტაპზე ვართ მაგრამ ძალიან კარგი იქნება, თუ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. ადრე რაც საცდელი ნაკვეთები იყო, პრივატიზაციის პერიოდში ყველაფერი გაიყიდა და აღარ არსებობს. ახლა იწყება აღდგენა და ამას მივესალმები. ამხელა ქვეყანაში ერთი ლაბორატორია გვაქვს, ვაშლიჯვარში მდებარეობს, რომელსაც შეუძლია ნიადაგის სრულფასოვანი ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაატაროს, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება. მე ვცადე ამ მომსახურებით მესარგებლა მაგრამ იმდენად დიდი ფასები აქვს, რომ მათ მიერ მოწვდილი ინფორმაცია არ არის იმდენად ღირებული, რამდენიც ფინანსურად ჯდება და შევეშვი.

- ყოველწლიურად იზრდება დამუშავებული მიწის ფართობები, ხელისუფლება ამბობს, რომ გლეხი მიწას დაუბრუნდა, თქვენ რას ფიქრობთ?

- ბოლო ხანს მართლაც გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობები. მაგრამ მიტოვებული მიწის პრობლემა ისევ დგას. ილუზიაში ნუ ვიქნებით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ძალიან ბევრს კიდევ არ აქვს საშუალება მიწა ჯეროვნად დაამუშაოს. მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფომ წინ ნაბიჯები მართლაც გადადგა. ხუთი წლის წინ მდგომარეობა რომ იყო, ახლა შედარებაც არ შეიძლება იმდენად წინ ვართ.

ილია მარტყოფლიშვილი

ტყვიით შეწყვეტილი ცეკვა



6 აგვისტოს, თბილისში, ქერჩის ქუჩაზე არსებულ სარეპეტიციო დარბაზში, ანსამბლ "ხერთვისის" ხელმძღვანელი, 30 წლის ვანო წიკლაური მოკლეს. სარეპეტიციო დარბაზში ანსამბლის ხელმძღვანელი ჩვეულებისამებრ ანსამბლის წევრებზე ადრე მივიდა, მკვლელიც მალევე შეჰყვა და თავში ორჯერ მიჯრით ესროლა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ მისი გადარჩენა ვეღარ მოახერხა. ანსამბლის წევრები და ვანოს მეგობრები მომხდარით შოკში არიან. მათ ტრაგედიაზე საუბარი უჭირთ, გვთხოვეს, - ვინაობის დასახელება საჭირო არ არის, ერთ-ერთი ჩვენგანი ყველას სახელით ილაპარაკებსო.

"ვანო წიკლაური არა მხოლოდ ოჯახს დააკლდა, არამედ მეგობრებს, ხელოვანებსა და მთელ საქართველოს, - მას თავისი ქვეყანა ძალიან უყვარდა და როგორც თავად არაერთხელ უთქვამს, მზად იყო ცხოვრების ბოლომდე ქართული საქმისთვის ემსახურა, მაგრამ არ დასცალდა..." - გვეუბნება ვანოს მეგობარი. მის მკვლელობაში ბრალდებული სამართალდამცველებმა ქალაქ ხაშურში დააკავეს. ის 1979 წელს დაბადებული მამაკაცია. დანაშაულის გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

- არ ვიცი ვანოზე წარსულში როგორ უნდა ვილაპარაკო. შოკში ვართ... როგორ უნდა გავაგრძელოთ მის გარეშე ცხოვრება. ის მთელი ანსამბლის, ყველა ჩვენგანის სული და გული იყო. არც მეგობრობა ეშლებოდა, არც გვერდში დგომა და თუ საჭირო იყო, არც პირში თქმა... ის გვამოძრავებდა, თითქოს სულს გვბერავდა, რომ ყოველთვის ფორმაში ვყოფილიყავით. თავადაც ვარჯიშობდა, - არც დასვენება იცოდა, არც დღე, არც ღამე, თუ საჭირო იყო, გათენებამდეც გვავარჯიშებდა. ერთი ადგილის ტკეპნას ვერ იტანდა. ანსამბლის ღერძი იყო, - ფორმების მოფიქრება იყო თუ აფიშების, ყველაფრის სულისჩამდგმელი ის იყო. ჩვენ თვალდახუჭული მივყვებოდით, რადგან კარგად ვიცოდით, ვანოს სადაც მივყავდით, იქ წარმატება იყო... ისეთ მაგალითს გვაძლევდა, რომ ამისი ნდობა რომ არ გვქონოდა, შეუძლებელი იყო. ბავშვებსაც ასე ზრდიდა, ასეთი სულისკვეთებით ასწავლიდა ცეკვას, - თუ ცეკვავ, სასაწაული უნდა იყო, სხვანაირად ჯობია არ იცეკვოო. რამდენჯერ ყოფილა, რომ ზოგს ფული ვეღარ გადაუხდია და ვანოს არ გაუშვია სახლში, - მშობლებს რომ ფულის გადახდა არ შეუძლიათ, ამისთვის ბავშვი რატომ უნდა დაიჩაგროს, როცა ცეკვა უყვარსო... სიგიჟემდე უყვარდა თავისი მოსწავლეები, მათზე ისე ზრუნავდა, ისეთი სიყვარულით ლაპარაკობდა... ვანოს თბილი, მოსიყვარულე გული ჰქონდა. როგორ უნდა განაგრძოს ანსამბლმა მის გარეშე არსებობა, არ ვიცი. მაგრამ, აუცილებლად უნდა განვაგრძოთ, ვანომ ჩვენს საქმეში გული ჩადო, არ შეიძლება ამ გულის მიტოვება.

- როგორც ამბობენ, მას ახალი პროექტი ჰქონდა და სწორედ ამის გამო დადიოდა ზაფხულის პაპანაქებაში სავარჯიშოდ სარეპეტიციო დარბაზში.

- ჰქონდა, გატაცებული იყო ამით. სექტემბერში ხერთვისის ციხეზე უნდა ჩაგვეტარებინა კონცერტი. ამისთვის უნიკალური ცეკვა თავად დადგა. მას "მესხური " ჰქვია და ულამაზესი ცეკვაა. ვანო უნიკალური ნიჭის პატრონი იყო, - აბა, ისე როგორ მიაღწევდა საქართველოში წარმატებას, როცა კონკურენტად ქართული ცეკვის გრანდიოზული ანსამბლები გვყავდა. ვანომ კი მაინც მოახერხა ჩვენი ანსამბლი ცნობილი გამხდარიყო. სექტემბერში ხერთვისის ციხეზე კონცერტიც გვქონდა დაგეგმილი. ერთი ჩვენი ახლობლის სიმღერა უნდა გვემღერა, რომელიც მან გარდაცვლილ მეგობარს მიუძღვნა. ახლა კვლავ ვიმღერებთ ამ სიმღერას, ოღონდ ის ჩვენი ვანო წიკლაურის ხსოვნასაც მიეძღვნება.

- ვანო წიკლაურის მკვლელობაზე რამდენიმე ვერსია გავრცელდა...

- დიახ. მაგრამ ძირითადი ვერსია ის არის, რომ ვანო მისი აღსაზრდელის მამამ ეჭვიანობის გამო მოკლა, - ცოლზე ეჭვიანობდა თურმე, რომელსაც ბავშვი ცეკვაზე დაჰყავდა. ყველანი ვფიქრობთ, ვფიქრობთ კი არა, დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ეჭვიანობას საფუძველი არ ჰქონდა, არ არსებობს, იმიტომ, რომ ანსამბლში ბავშვობის მეგობრები ვართ და ვანოს სიმართლე რომც დაემალა, ისედაც მივხვდებოდით... ეჭვიანობა ავადმყოფობაა. ეს კაცი ავადმყოფია, რომელმაც არაჩვეულებრივი ადამიანი მოკლა და თავიც დაიღუპა.

ყვარელში 76 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში მცხოვრები 76 წლის თინათინ ხოდაშნელაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 28 წლის, წარსულში ნასამართლევი მამაკაცი დააკავეს.„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, ღამით, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში, თანასოფლელის, 1939 წელს დაბადებული თ. ხ.-ს საცხოვრებელ სახლში ქურდობის მიზნით, ფარულად შეაღწია. სახლის მეპატრონემ გ. ხ. შეამჩნია, რის შემდეგაც ბრალდებულმა ქალბატონს თავის არეში ბლაგვი საგნით დაზიანებები მიაყენა, მისი სხეული მარანში, ქვევრში, კვალის დაფარვის მიზნით გადამალა, ხოლო სახლში ხანძარი გააჩინა და მიიმალა. პოლიციამ გ. ხ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში, თელავში დააკავა", - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.მათივე ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

თინათინ ხოდაშნელაშვილს 7 აგვისტოდან ეძებდნენ და 10 აგვისტოს, საკუთარი საცხოვრებელი სახლის მარანში, ქვევრში დამარხული იპოვეს. მოკლულის მეზობლების თქმით, შიშველი ცხედარი პალტოში იყო გახვეული და ქვევრში ჩაგდების შემდეგ, ქვევრს ზემოდან მიწა ჰქონდა მიყრილი.

ყოფილი პარლამენტარის მკვლელობისთვის ძებნილი დააკავეს

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პარლამენტის ყოფილი წევრის ნოდარ მოდებაძის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ავთო ზაალიშვილი დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თელავის რაიონის სოფელ აკურაში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1950 წელს დაბადებულ ნოდარ მოდებაძეს და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ავთო ზაალიშვილი მომხდარიდან რამდენიმე დღეში დაკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო", — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

66 წლის ნოდარ მოდებაძე, თელავის რაიონის სოფელ აკურაში, საკუთარ ნაკვეთში 8 აგვისტოს მოკლეს. როგორც მოკლულის ნათესავებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ურთიერთშელაპარაკება მას შემდეგ მოხდა, რაც ნოდარ მოდებაძემ ნახა, რომ მის ნაკვეთში მწყემსს საქონელი ჰყავდა შეყვანილი. შელაპარაკების შემდეგ, მწყემსმა ნოდარ მოდებაძის კუთვნილი ავტომობილიდან სანადირო თოფი ამოიღო და ესროლა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მეუღლე ციური; შვილები: დეკანოზი გიორგი, ხატია, თეა, მიხეილი. რძლები: ხათუნა, თეონა. სიძეები: ზაქარია, ზაზა, დავითი, გურამი, ჯონი; შვილიშვილები: ნინო, დავითი, სოსო, ნიკოლოზი, ილია, ნიკოლოზი, ანა, თეკლა, მიხეილი, მარიამი, ნათია, დავითი, ქეთევანი, ნატალია, სოფიო, თომა; შვილთაშვილი ბარბარე; და ნანული, დისშვილები:დიტო, ნათია. სიდედრი მარიამი; ცოლის და ცისია იუწყებიან

ილია ჯინაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 11 აგვისტოს დედოფლისწყაროში.

ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მრევლი თანაგრძნობას უცხადებს მამა გიორგის მამის

ილია ჯინაშვილის

გარდაცვალების გამო.

გივი ზედელაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს ციურის და შვილებს: მამა გიორგის, ხატიას და თეა ჯინაშვილებს მეუღლის და მამის

ილია ჯინაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

რაია ალახვერდოვა-ბაცაცაშვილი

უკვე ორმოცი დღე გავიდა, დედა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ვერაფრით ვეგუებით უშენობას. ყველგან დაგეძებთ, ასე გვგონია, კარი გაიღება და შემოხვალ. ხან გველანდები, ხან ტელეფონის ზარი ჩაგვესმის... როგორი მზრუნველი იყავი, ჩვენც იგივეს გვთხოვდი. დღე არ გავიდოდა, არ დაგერეკა და არ მოგეკითხეთ, ჩვენც სულ შენს გზაზე ვიდექით, ვიცოდით რომ გველოდებოდი. შენზე ზრუნვა მოგვენატრა, ყველა კუთხე-კუნჭული შენს თავს გვაგონებს. გვაპატიე,ხანდახან ვბრაზდებოდით შენს გადაჭარბებულ პრეტენზიებზე, გვავიწყდებოდა რომ დაგვიბერდი და ბავშვივით ჭირვეულობდი, ჩვენზე დამოკიდებული გახდი, მაგრამ მაინც, ჩვენთვის დიდი იმედი და ნამდვილი მფარველი ანგელოზი იყავი.

რომ იცოდე, როგორ გვენატრები, თავს უსუსურად ვგრძნობთ, შენ ყველაზე ძვირფსი იყავი ჩვენთვის, შვილებისთვის და გიოსთვის, როგორ უყვარდა შენთან შემორბენა. ახლა აღარ გვეხალისება ცარიელ სახლში მოსვლა, რადგან შენი სითბო და ღიმილიანი მზერა აღარ გველოდება: ძალიან, ძალიან გვენატრები, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, შენი სახე გვიდგას თვალწინ, ყურებში შენი ხმა ჩაგვესმის. როგორ ვერ გიშველეთ... თუმცა, ჩვენ რა შეგვეძლო, უფლის ნებას წინ ვინ დაუდგება...

დედა, ვიცი, მანდაც ჩვენთვის ილოცებ! ჩვენც არასდროს დაგივიწყებთ, მწუხარების თუ სიხარულის დღეებში ყოველთვის გაგიხსენებთ, ცოცხლად გიგულებთ და მოგეფერებით!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

შენი შვილები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ხორნაბუჯი (ბალკა)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საძოვარი)	52.32.31.001	800 000 კვ.მ	2240	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

საჯარო აუქციონი სარგებლობის უფლებით (იჯარით) ქონების გადასაცემად გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 12 სექტემბერს, 14 00 სთ-ზე;

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი - 300533047 (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) იჯარა);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
სააუქციონო კომისია

ულოცავენ!

გია ფუტკარაძეს! მირანდა ბერიძეს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო საკრებულოს წევრს, გია ფუტკარაძეს, ულოცავს გაბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს და შვილთა სიმრავლეს. უფალი გფარავდეთ.

ილია მარტყოფლიშვილი

გია ალუღიშვილს! რამაზ გოგობერიშვილს! დიმიტრი ყოჩიაშვილს!

კულტურულ, განათლებულ და საუკეთესო ოჯახებში აღზრდილებს, ღირსეულ პიროვნებებს, შეუდარებელ პროფესიონალებს გულწრფელად გილოცავთ „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ და „წარმატებული ადამიანის“ წოდების მინიჭებას. ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია და ეს წოდებაც ამის დასტურია.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით
ნანა და ლამარა ჭიჭინაძეები,
ნათელა ნანოგაშვილი და ნანული ნატროშვილი ოჯახებით.

თამუნა მოდებაძეს! მარიამ ნიკვაშვილს! ირაკლი თავაძეს! დათო ყოჩიაშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, მთელი სულით და გულით გილოცავთ საჯარო სკოლის წარმატებით დამთავრებას და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულების მიღებას, ძალიან ვამაყობთ თქვენით.

დიდი სიყვარულით თამარ მოძღვრიშვილი, ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები, ნათელა ნანოგაშვილი და ლამარა მატიაშვილი.

ზემო ალვანში პლასტმასის ბოთლებისაგან სათბური ააშენეს

ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ ზემო ალვანში 2 500 პლასტმასის ბოთლისაგან სათბური ააშენეს. აღნიშნული ინიციატივა სტუდენტებს ეკუთვნის.

წამოწყება USAID-ის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების პროექტის დახმარებით განხორციელდა.

„პროექტი ხორციელდება კახეთის რეგიონსა და აჭარაში, რომელიც ხელს უწყობს გადამუშავებას, კომპოსტირებას და ბუნებისათვის საზიანო ნარჩენების მართვას. მივესალმებით მათ გამომგონებლობის უნარს და მადლობას ვუხდით გარემოს პლასტმასის ნარჩენებისგან დასუფთავებისათვის“, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

ყურადღება!

ქ. დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქ. N44-ში მდებარე სასურსათო მაღაზიას ესაჭიროება გამყიდველი (ინდმეწარმე „გენადი შიოლაშვილი“). მსურველები დაგვიკავშირდით: 577 05 14 31, ☎ იკითხეთ მარინა.

ავტოსკოლა

ავტოსკოლა „IZI“-მ შეიცვალა მისამართი. ავტოსკოლა მომსახურებას აგრძელებს რუსთაველის ქუჩა №53-ში (სახანძრო სამაშველო სამსახურის გადასწვრივ).

იმუშავებს 1 კვირიანი, 2 კვირიანი და 3 კვირიანი თეორიის კურსები ფასთა სხვაობით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 555-97-81-99; 577-34-55-39.

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 15.08		სამშაბათი 16.08		ოთხშაბათი 17.08		ხუთშაბათი 18.08		პარასკევი 19.08		შაბათი 20.08		კვირა 21.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	25 °	24 °	23 °	24 °	23 °	26 °	25 °	27 °	25 °	26 °	25 °	27 °	26 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჩოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.